

# რა ეკონომიკური ზარალი მიაღბა საქართველოს?

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 18-24 აგვისტო, № 33, 2008

დაბობმეები დასრულდა, მაგრამ მოროდინობა და ძარცვა გრძელდება. საომარი მოქმედებების დაწყებიდან 8 დღის შემდეგ დაახლოებითაც არავინ ამბობს რა ეკონომიკური ზარალი მიაღბა ქართულ მხარეს, რა ბედი ელის ქართულ ეკონომიკას, როგორ და რა თანხებით უნდა მოხდეს დანგრეული და გაძარცვული ინფრასტრუქტურის აღდგენა და ხომ არ გამოიწვევს ეს ლარის დევალვაციას?

„ქრონიკა“ დამოუკიდებელ ეკონომიკურ ექსპერტს, ლადო პაპავას ესაუბრა:

– დღევანდელ მდგომარეობაში ზარალის შეფასება უფრო მარჩიელობას ჰგავს, ვიდრე დათვლას, რადგან ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ მთელ რიგ ტერიტორიებს. ვიცით, რომ დაინგრა სახლები, გზები, ხიდები, მაგრამ ზუსტად არ ვიცით კონკრეტულად რა, სად და როგორაა დანგრეული და დაზიანებული. ასევე ზუსტად არ ვიცით რა არის გატაცებული და გაძარცვული. ამის დათვლა შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც ჩვენს კონტროლს დაექვემდებარება ფოთი, გორი, ზუგდიდი, სენაკი, კოდორის ხეობა, ცხინვალის რეგიონის სოფლები. ცალკე შესასწავლია, თუ ხანძრისაგან რა ზარალი მიაღბა ჩვენს ერთ-ერთ უნიკალურ სიმდიდრეს – ბორჯომის ხეობას.

– დაახლოებით მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ რა თანხა დასჭირდება ამ ყველაფრის აღდგენას?

– ვერ გეტყვით. მე ეკონომისტი ვარ და მარჩიელობა არ შემიძლია.

– როგორც აღმოჩნდა სადაზღვევო კომპანიები ომის რისკებისაგან არ აზღვევენ. თქვენი აზრით, ძირითადად ეს საქართველოს ბიუჯეტს დააწვება თუ უცხოური დონორები და სახელმწიფოები დიდ დახმარებას გააგიწევენ?

– დღეს ისეთი დიდია გამოხმაურება მსოფლიო მასშტაბით, რომ ღრმად ვარ დარწმუნებული არაერთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი შეადგენს სპეციალურ პროგრამას. პირველ რიგში, ძალიან ბევრი გასაკეთებელი ექნება მსოფლიო ბანკს. იგი ალბათ ორიენტირებული იქნება ინფრასტრუქტურის აღდგენაზე. იგივეს გააკეთებს ველით ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან. დიდი იქნება დახმარება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, ევროკავშირიდან, ევროპის ცალკეული სახელმწიფოებისაგან. საყურადღებოა, რომ უკვე თურქეთმა გამოხატა დახმარებისათვის მზადყოფნა. ასევე საკმაოდ დიდი თანხები გავა საქართველოს ბიუჯეტისაგან. ბიუჯეტს დასჭირდება ორიენტირების შეცვლა და ხარჯების გადაჯგუფება იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს ყველაფრის აღდგენა.

– აქ ალბათ საუბარი იქნება ათეულ მილიონებზე...

– უფრო ასეულებზე...

– მით უმეტეს, როდესაც ეს თანხები როდესაც გავა ბრუნვაში, ხომ არ გამოიწვევს ინფლაციის პროცესს და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ რომ ეს პროცესი შეაჩეროს?

– დღეს ცოტა სხვა მდგომარეობაში ვიმყოფებით. იმის გამო, რომ ზოგიერთმა დამატებითმა ხარჯმა შესაძლოა ინფლაციის ზრდას შეუწყოს ხელი, ამის გამო ხალხი ქუჩაში დაგტოვოთ? რა თქმა უნდა, ეს საომარი მოქმედებები გამოიწვევს სულ ცოტა მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპების შემცირებას. ეს კი ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს, თანაც აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ომამდე ინფლაცია ისედაც მაღალი გვქონდა. დღეს აშკარად პრიორიტეტულია დაზარალებული ხალხის დახმარება, დანგრეულის აღდგენა და ეს ის შემთხვევა არ არის, როცა ინფლაციის დონე არის ყველაზე მთავარი. ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები ეროვნულ ბანკსა და მთავრობას გააჩნია. პირველ რიგში ეროვნულმა ბანკმა უნდა გააგრძელოს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა: სხვა არჩევანი მას არ აქვს. იმავედროულად, ფინანსთა სამინისტრომ უნდა გაწიოს შემოსავლების სერიოზული მობილიზება, თანაც ეს თანხები რაც შეიძლება მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს. ამ შემთხვევაში ინფლაციური ეფექტები გაცილებით ნაკლებ მტკივნეული იქნება.

– იყო საუბარი სასამართლო წესით რუსეთისაგან ზარალის ანაზრაურების მოთხოვნაზეც. პრაქტიკაში რამდენად განხორციელებადია ეს და როგორ უნდა მოხდეს ანაზრაურებული თანხის მიღება?

– ასეთი რამე რომც მოხდეს, ეს მალე არ იქნება. საერთაშორისო სასამართლოში ასეთი პრაქტიკა არსებობს, მაგრამ ოპერატიულად ვერ მოხდება, რომ რუსეთი დააჯარიმონ და საქართველოს სასარგებლოდ თანხა

გადაახდევინონ. აქედან გამომდინარე ამ თანხებზე და მის მიღებაზე საუბარი, მოკლე ვადიან პერიოდში “მოუკლავი დათვის ტყავზე” საუბარს ჰგავს...

**დიმიტრი ტიკარაძე**